

მოსე თოიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მოსე თოიძის თხოვნა სახალხო განათლების კომისარიატისადმი, მისი სახელობის სამხატვრო სტუდიის მოწმობის ასლის გაცემასთან დაკავშირებით.
1923 წ. 5 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
2. მოსე თოიძის განცხადება სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილებისადმი, სახელოვნო კომისარიატში შესვლასთან დაკავშირებით.
1923 წ. 16 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
3. მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარის ოფიციალური მიმართვა მოსე თოიძისადმი, სტუდიის მუშაობის ირგვლივ, მოკლე მოხსენების წარდგენასთან დაკავშირებით.
1923 წ. 29 ნოემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
4. სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა მოსე თოიძისადმი, ხატვის პროფესორის ხარისხის მონიჭებასთან დაკავშირებით.
1927 წ. 8 თებერვალი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ხელოვნების განყოფილების გამგე – შ. დადიანი. განყოფილების მდივანი – ი. ხატიაშვილი.
1 გვ.
5. საქართველოს პროფესიონალურ-საწარმოო საბჭოს მიერ გაცემული მოწმობა პროფესორ მოსე თოიძისადმი, სამსახურში მიწვევასთან დაკავშირებით.
1928 წ. 26 ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: საქ. პროფესიონ-საწარმოო კავშირთა საბჭოს უფროსი – მხიტაროვი, მდივანი – კანდელაკი. 1 გვ.

6. ცენტრალური საშემსრულებლო საიუბილეო კომისიის მიერ გაცემული საპატიო გამოხმაურება მოსე თოიძისადმი, თბილისის სამხატვრო სტუდიის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით.

1929 წ. 10 ივლისი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც. (1 გვ.)

7. ცენტრალური საშემსრულებლო საიუბილეო კომისიის მიერ გაცემული საპატიო გამოხმაურება მოსე თოიძისადმი, თბილისის სამხატვრო სტუდიის მიერ წარმოდგენილ ნამუშევრებთან დაკავშირებით.

1929 წ. 10 ივლისი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 ც. (1 გვ.)

8. სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის საქარხნო საფაბრიკო მოწაფეთა ცენტრალური სასწავლებლის მიერ გაცემული მოწმობა მოსე თოიძისადმი, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის 1890 წელს დამთავრებასა და შემდგომ სახეინკლო ამქრის ხელმძღვანელად, ხოლო მოგვიანებით 1902-1918 წწ-ში აღნიშნული სკოლის ხატვის მასწავლებლად მოღვაწეობის შესახებ.

1929 წ. 6 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: სკოლის გამგე – ა. ყამარაული, საქმეთა მმართველი – კ. დათუნაიშვილი. 1 გვ.

9. ამონაწერი ოქმიდან მოსე თოიძისადმი, შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

1930 წ. 11 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

10. ქართველ მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარის სტატია – “პროფესორ მოსე თოიძის 46 წლის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ”.

1930 წ. 15 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ქართველ მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარე – (გვარი არ იკითხება). 4 გვ.

11. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წერილი პრეზიდიუმისადმი, მოსე თოიძისათვის შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

1930 წ. 6 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: განყოფილების გამგე – ბერიძე, საქმეთა მმართველი – ბარამიძე. 1 გვ.

12. სსრკ რევოლუციის მხატვართა ასოციაციის (“რევმას”) ოფიციალური მიმართვა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი, მოსე თოიძისათვის შრომის გმირის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1930 წ. 25 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

13. ი. სტალინის სახ. თბილისის რკინიგზის სახელოსნოს ადგილკომის დადებითი აზრი (გამოხმაურება) საქართველოს რევოლუციის მხატვართა ასოციაციის (“რევმასის”) ბრიგადის მუშაობისა და პროფესორ მოსე თოიძის მიერ წაკითხული ლექციის შესახებ.

1931 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

14. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა, მოსე თოიძისათვის შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

1932 წ. 14 მაისი. ნაბეჭდი. (წიგნაკის სახით). 1 გვ. (1 ც.)

15. მოსე თოიძისადმი გაცემული სიგელი ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების I ოლიმპიადაზე ფერწერის სფეროში I ხარისხით დაჯილდოების შესახებ.

1934 წ. 15 აგვისტო. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

16. სსსრ პროფსაბჭოს ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული ქების სიგელი მოსე თოიძისადმი, სამხატვრო დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ.

1935 წ. 3 მაისი. სტამბური. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ხელოვნების მოღვაწეთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე – ი. ბოიარსკი, ხელოვნების მოღვაწეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანი – ა. პაშკოვსკი. 1 ც. (1 გვ.)

17. საბჭოთა მხატვრების კავშირის ოფიციალური მიმართვა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარ – ა. თათარიშვილისადმი, მოსე თოიძის 50 წლის აღსანიშნავი იუბილეს მოწეობის შესახებ.

1935 წ. 21 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქ. საბჭ. მხატვრების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე – დუდუჩავა. მდივანი – კეშელავა. 1 გვ.

18. განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მთავრობის კომისიასთან, მოსე თოიძისათვის სახალხო მხატვრის წოდების მინიჭებისა და 50 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილეს გამართვის შესახებ.

1935 წ. 21 ნოემბერი. 1 გვ.

19. მოსე თოიძის ავტობიოგრაფია. (მასალას ერთვის სხვადასხვა წლებში შექმნილი ნამუშევართა სია).

1938 წ. 16 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

20. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება სამხატვრო სასწავლებელში, ახალი სასწავლო წლისთვის კომისიის შექმნასა და მოსე თოიძის კომისიის წევრად არჩევის შესახებ.

1928 წ. 22 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

21. მოსე თოიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1938 წ. 5 ოქტომბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

22. მოსე თოიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1938 წ. 10 ოქტომბერი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

23. მოსე თოიძის ავტობიოგრაფია.

1939 წ. 1 ივლისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

24. მოსე თოიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1947 წ. 7 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

25. მისა ცხაკაიას პასუხი “ИЗО”-ს მდივნის შეკითხვაზე, მხატვარ მოსე თოიძის სამხატვრო აკადემიიდან გაშვებასთან დაკავშირებით. [აღნიშნავს, რომ მოსე თოიძის სამხატვრო აკადემიიდან გარეთ დატოვება დანაშაულის ტოლფასია]

15 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

26. სამხატვრო აკადემიის მიერ გაცემული მონაცემები, მოსე თოიძის სახალხო მხატვრის წოდებაზე წარდგენის შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

27. მოსე თოიძის მანდატი, ამიერკავკასიის საბჭოთა მე-7 ყრილობის დელეგატად არჩევის შესახებ.

უთარილო. სტამბური. ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. 1 ც.

28. ი. სტალინის სახ. ორთქმავალთა და რონოდათა შემკეთებელ ქარხნის ქარხნის აზრი (გამოხმაურება) საქართველოს “რევმასის” (რევოლუციის მხატვართა ასოციაცია) ბრიგადის მუშაობისა და ქრხანაში სამხატვრო გამოფენის გახსნის შესახებ. (გამოფენაზე ლექცია წაიკითხა სამხატვრო აკადემიის პროფესორმა მოსე თოიძემ).

უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

29. მოსე თოიძის პირადი დოკუმენტების სია “განსახკომში” წარსადგენად.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. ხელს აწერს: კამკამიძე. 1 გვ.

30. მოსე თოიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

უთარილო. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

31. საქ. სსრ სახალხო მხატვრის, სსრ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, გამოჩენილი ქართველი ფერმწერის მოსე თოიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების განრიგი.

1972. წ. 18-25 იანვარი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

32. საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში, საქ. მხატვართა კავშირის მიერ გამართული საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის მოსე თოიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სესიის დღის განრიგი.

1972 წ. 20 იანვარი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

მოსაწვევი ბარათი.

33. მოსე თოიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.

1972 წ. 19 იანვარი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ც.

სხვადასხვა.

34. ხელოვნების მოღვაწეთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბოიარსკის დადებითი აზრი (გამოხმაურება) რევოლუციის მხატვართა ასოციაციის მიერ მოწეობილი გამოფენის შესახებ.

1930 წ. 18 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

გადაამუშავა თამარ

მაისურაძემ.

